

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
ეთიკის კომისიის N124/12¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა
სტუდენტები ენვერ აბულაძე

ფაქტები:

ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კ. ბ.-მ ადვოკატი ლ. ბ.-ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით. საჩივრის ავტორი სამოქალაქო საქმეზე იყო მოპასუხე, ა. ყ.-სთან ერთად, ხოლო ადვოკატი ლ. ბ. არის მოსარჩელის, მ. მ.-ს წარმომადგენელი. ა. ყ. ასევე არის სისხლისსამართლის საქმეზე მსჯავრდებული. ადვოკატმა ლ. ბ.-მ გამოწერა ორდერი, სადაც დასაცავ პირად მითითებული იყო მისი მარწმუნებლის პროცესუალური მოწინააღმდეგე, მსჯავრდებული ა. ყ.. აღნიშნულის უფლება ლ. ბ.-მ მიიღო ა. ყ.-ის ადვოკატის, ნ. ს.-ას მიერ. ადვოკატმა მსჯავრდებული მოინახულა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და ორდერის საფუძველზე სხვა ქმედება არ განახორციელა. დასაცავ პირად ორდერში მსჯავრდებულის მითითების მიზანი იყო არა მსჯავრდებულის, არამედ სამოქალაქო დავაზე ლ. ბ.-ის კლიენტის, მ. მ.-ის ინტერესების დაცვა.

პროცესუალური ისტორია:

საპროცესო კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატი ლ. ბ.-ს მიმართ კლიენტის კანონიერი და ეთიკური საშუალებებით დაცვის ვალდებულებისა და ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების შესაძლო დარღვევის გამო.

სამართლებრივი შეფასება:

ადვოკატ ლ. ბ.-ის მიერ დარღვეულად შეფასდა ადვოკატის ვალდებულება, კანონისა და ეთიკის ნორმების დაცვით წარმოადგინოს კლიენტი. ორდერი წარმოადგენს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებული უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს. აღნიშნული გულისხმობს ადვოკატსა და მსჯავრდებულს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობას. ორდერის გამოწერა უნდა განხორციელდეს ორდერში მითითებული პირის დასაცავად. ადვოკატის მიერ სხვა მიზნით გამოწერილი ორდერი იქნება ფიქტიური ხასიათის, რაც არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ორდერის სამართლებრივ ბუნებას და იწვევს ადვოკატის მიერ ორდერის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების დარღვევას სამართლებრივი ურთიერთობის დაწყებისთანავე.

აღნიშნულ შემთხვევაში ა. ყ.-ის ადვოკატის, ნ. ს.-ს მიერ ადვოკატ ლ. ბ.-სათვის მიცემული თანხმობა ორდერის საფუძველზე მის კლიენტთან შეხვედრის თაობაზე არ ათავისუფლებს ადვოკატ ლ. ბ. ორდერის საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობისგან. იმ შემთხვევაში, თუ ორდერის გამოწერა არ ხდება უპირველესად და ექსკლუზიურად იმ პირის ინტერესების დაცვის მიზნით, ვინც არის ორდერში მითითებული, ადვოკატმა უარი უნდა თქვას ორდერის გამოწერასა და დაცვის განხორციელებაზე. ვინაიდან ლ. ბ.-ას მიერ გამოწერილი ორდერი მიზნად ისახავდა არა ა. ყ.-ის ინტერესების დაცვას სისხლის სამართლის საქმეზე, არამედ ადვოკატ ლ. ბ.-ის კლიენტის, მ. მ.-ის ინტერესების დაცვას სამოქალაქო საქმეზე, აღნიშნულ ორდერს

¹https://www.gba.ge/pdf/5c471d47889b7.pdf/5c471d47889b7.pdf?fbclid=IwAR0anwpY4635QbfA19EEz9QraejJCFH5liza_XdZkXMNph-nZWj1orgmPew



ფიქტიური ხასიათი ჰქონდა. ორდერის საფუძველზე ადვოკატ ლ. ბ და ა. ყ. შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა არ წარმოშობილა.

ვინაიდან ლ. ბ.-ს მიერ გამოწერილი ორდერი იყო ფიქტიური ხასიათის, განხილვის კოლეგიამ არ გაიზიარა დისციპლინური დევნის აღძვრა ინტერესთა დაუშვებლობის ვალდებულების დარღვევის ნაწილში.

დასკვნა:

ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატის მხრიდან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა და ადვოკატის მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ფორმად განისაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.